განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვახტანგ ბოგველიშვილი

წევრები:

ზაირა ბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „ფაზისი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **215101716**

სახე:

- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 აგვისტოს ბრძანების N720 საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, 2019 წლის 24 და 25 აგვისტოს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ფაზისში“.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და გასაუბრება; დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების შემოწმება, პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების გადამოწმება და მათთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დამატებითი შესწავლა; პროგრამასთან დაკავშირებული გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის გადამოწმება; პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, წარმომადგენლებთან გასაუბრება და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების პირობების შემოწმება; მატერიალურ სტანდარტისა და მისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმება; დამატების მიზნით წარმოდგენილი პროგრამებისთვის გამოყოფილი აუდიტორიების, შესაბამისი ინვენტარის შემოწმება; დამატების მიზნით წარმოდგენილ პროგრამებთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება, ვებგვერდის და კატალოგის შემოწმება. დღის ბოლოს ჯგუფის წევრებს შორის ხდებოდა გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება.

ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები: **ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება;** **სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა;** **სამკერვალო წარმოება;** **სარესტორნო მომსახურება.**		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.			
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

კოლეჯს პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი, გენდერული და სოციალური ინტეგრაციის მართვის გეგმები. სწორედ ამის შედეგად, მიუხედავად საზოგადოების მხრიდან კრიტიკისა თუ სტერეოტიპული ხასიათის დამოკიდებულებისა, მიმდინარე წელს, „ელექტროობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა გოგონა, რომელიც შემდგომ, ტესტირების შედეგებიდან გამომდინარე დასახელდა საუკეთესო სტუდენტად და გახდა ენერგო-პრო ჯორჯიას სტიპენდიანტი. ამჟამად იგი დასაქმებულია ფოთის საზღვაო ნავსადგურში.

ამასთანავე, საუკეთესო გამოცდილებად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ სსსმ პირთათვის განკუთვნილ სველ წერტილებში დამონტაჟებულია ხმოვანი სიგნალების გამომცემი აპარატურა, რისი საშუალებითაც პირი, საჭიროების შემთხვევაში, ითხოვს დახმარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

VII. დაწესებულების მისია

სსიპ კოლეჯის ,ფაზისი“ მისიაა წვლილი შეიტანოს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, შესაბამისი კვალიფიციური და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების თვალსაზრისით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ კოლეჯს „ფაზისი“ სურვილი აქვს განახორციელოს **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შემდეგი პროგრამები:**

- ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება;
- სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა
- სამკერვალო წარმოება
- სარესტორნო მომსახურება

ვიზიტის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელების უფლების მოპოვება სურს დაწესებულებას.

ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება - დაწესებულება გეგმავს შემოდგომიდან განახორციელოს „ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირების“ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს კომპანიებთან, შპს „მეტალექს ტრანსი“ და შპს „ჯტე ფოთი“, ერთად, სადაც პროგრამის მოდულების გარკვეული შედეგები იქნება მიღწეული. ამასთან, კოლეჯი „ფაზისი“, 2013 წლიდან ახორციელებს მოკლევადიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომზადება/გადამზადების (სასერტიფიკაციო) კურსებს ,,მძიმე ტექნიკის (ავტოგრეიდერი, ჰიდრავლიკური ექსკავატორი, სატვირთველი (ავტომტვირთველი, საკონტეინერო გადამტვირთველი მანქანა, ციცხვიანი მტვირთველი)) ოპერატორი''-ს და ,,ამწის (სხვადასხვა ტიპი კოშკურა, ხიდურა, ჯოჯგინა, პორტალური, საავტომობილო ტიპის შასიზე დამონტაჟებული მობილური ამწეების, მუხლუხა სავალი მოწყობილობის მქონე და სარკინიგზო ამწეების) მემანქანე'' - მიმართულებით, ადგილობრივი ბიზნესის დაკვეთითა და ასევე დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით.

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა - კოლეჯი გეგმავს, 2019 წლის საშემოდგომო მიღებისათვის დანერგოს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის პროფესიული პროგრამა ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა'' (მოდულური და დუალური). სწავლების დუალური პრინციპით წარმართვისათვის, კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ადგილობრივ გადამზიდავ კომპანიებთან: შპს "KKK & Company"; შპს „აპავენ ჯორჯია"; შპს „ბესთ ლოჯისტიკ სერვის"; შპს „გლობალ კომპანი"; შპს „სოფმარი".
სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის მოდულური პროგრამის განხორციელების მიზნით, ზემოთხსენებულ კომპანიებთან და დამატებით შპს „ჯტე ფოთთან", დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომელთა საფუძველზეც პროფესიული სტუდენტები შეძლებენ მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების გავლას.

სამკერვალო წარმოება - დაწესებულება მილევად რეჟიმში ახორციელებს სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და შემოდგომიდან სურს განახორციელოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება". კოლეჯში არის „სამკერვალო წარმოების" პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო გარემო თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის და ადამიანური რესურსი. კოლეჯს გააჩნია ხელშეკრულება შპს „ფელინ გლობალთან", რომლის ფარგლებში შესაძლებელია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება.

სარესტორნო მომსახურება - დაწესებულება გეგმავს შემოდგომიდან განახორციელოს „სარესტორნო მომსახურების" პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს სასტუმრო „ვილარეტასთან" ერთად, სადაც პროგრამის მოდულების გარკვეული შედეგები იქნება მიღწეული. კოლეჯში არის პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო გარემო თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის და ადამიანური რესურსი.

დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები („ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება", „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა", „სამკერვალო წარმოება", „სარესტორნო მომსახურება") დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის/დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით. თითოეულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია.

წარმოგიდგენთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაანალიზებისას გამოკვეთილ მნიშვნელოვან საკითხებს:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით („ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება“, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „სამკერვალო წარმოება“, „სარესტორნო მომსახურება“) გათვალისწინებული მოდულების (ზოგადი და პროფესიული) აბსოლუტური უმრავლესობა ადაპტირებულია, თუმცა ექსპერტთა მუშაობის შედეგად გამოიკვეთა ტექნიკური სახის უზუსტობანი, კერძოდ:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ყველა მოდულში ჩარჩენილი იყო ჩანაწერი „3.4 რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის” - ჩანაწერი რჩება უცვლელი სახით. ტერმინი „რეკომენდაციები“ იცვლება სიტყვა „მიდგომებით“;

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ მოდულში „რაოდენობრივი წიგნიერება“, დამხმარე ჩანაწერების „სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები“-ს გრაფაში აღინიშნებოდა სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერი (კერძოდ, სიტყვა „სასურველია“).

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ მოდულში „მეწარმეობა 2“, დამხმარე ჩანაწერების „სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები“-ს გრაფაში აღინიშნებოდა სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერი (კერძოდ, სიტყვები „მნიშვნელოვანია“, „შესაძლებელია“). ასევე, გრაფაში „მოდულის განხორციელების მიდგომები“ შეინიშნებოდა სარეკომენდაციო ხასიათის ტექსტი („მოდულის განხორციელების ზოგადი კონცეფცია“, „...სტუდენტებს უნდა განემარტოთ“).

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ მოდულში „რაოდენობრივი წიგნიერება“, დამხმარე ჩანაწერების „სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები“-ს გრაფაში აღინიშნებოდა სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერი (კერძოდ, სიტყვა „სასურველია“).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ გარკვეული შედეგები მიიღწევა სასტუმროში „ვილარეტა“, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად, სასტუმრო „ვილარეტა“ მზადაა მიიღოს მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტი. მემორანდუმს ახლავს (დანართი N1) დოკუმენტაცია სწავლის შედეგების განაწილების შესახებ, რომლის მიხედვითაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 10 მოდულის: სასტუმროსა და რესტორნის - სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა; ღონისძიების ორგანიზება; უსაფრთხოების მართვა; კვების ობიექტების მარტვა; სერვისი და სერვირება; ფინანსებისა და მატერიალური რესურსების მართვა; ბარის ორგანიზება; ქარვინგი; ღვინის დეგუსტაცია და საწარმოო პრაქტიკა - პრაქტიკული სწავლის შედეგები მიიღწევა სასტუმროში ვილარეტა“, თუმცა, დანართი არ ითვალისწინებს პრაქტიკული შედეგების მიღწევისათვის საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალს. ვინაიდან პრაქტიკის ობიექტი წარმოდგენილია, როგორც „C“ სასწავლო გარემო/სასწავლო სახელოსნო, სასურველია პრაქტიკის ობიექტის მხრიდან დასტურდებოდეს პროგრამისათვის აუცილებელი საჭირო ინვენტარის ობიექტზე არსებობა და სტუდენტისათვის ხელმისაწვდომობა. ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ მემორანდუმს დაურთოს ინვენტარის და მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალი.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გაასწორა ტექნიკური შეცდომები.

დაწესებულებაში ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ოთხივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და მოდულების განმახორციელებელ პირებს. პროგრამის ხელმძღვანელი პირები თავად არიან პროგრამის ძირითადი მოდულების განმახორციელებლები. ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ პერსონალი იცნობს მოდულის სპეციფიკასა და განხორციელების თავისებურებებს.

დაწესებულებას ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებები/მემორანდუმი, რითაც უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს „მეტალექს ტრანსი“;
- შპს „ჯტე ფოთი“;
- შპს “KKK & Company”;
- შპს „აპავენ ჯორჯია“;
- შპს „ბესთ ლოჯისტიკ სერვის“;
- შპს „გლობალ კომპანი“;
- შპს „სოფმარი“;
- შპს „ფელინ გლობალი“;
- შპს „ვილარეტა“.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა პრაქტიკის ობიექტები: შპს „აპავენ ჯორჯია“; შპს „ჯტე ფოთი“; შპს „ვილარეტა“ და შემოწმდა სამუშაო პირობები. ობიექტებზე ნამდვილად არის შექმნილი ყველა პირობა სტუდენტთათვის თეორიული ცოდნის მიღების და პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ზემოთხსენებულ კომპანიებს აქვთ კოლეჯთან თანამშრომლობის კარგი გამოცდილება და რამდენიმე კურსდამთავრებული ამ კომპანიის თანამშრომელია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესით;
- ინტერვიუირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის ბრძანება N01/121;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის ბრძანება N01/122;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის ბრძანება N01/123;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის ბრძანება N01/124;
- შეთანხმების აქტი N2 (მხარეებს შორის 2019 წლის 4 აპრილს გაფორმებულ N15 ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების და ნაწილი პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ. ბეჭდური და ელექტრონული კატალოგი თანხვედრაშია ერთმანეთთან და მიმდინარეობს მისი ყოველწლიური განახლება.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გვაწვდიან ინფორმაციას მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება“, „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „სამკერვალო წარმოება“ და „სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ანონსის სახითაა განთავსებული კატალოგში, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას მისანიჭებელი კვალიფიკაციების, მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბეჭდური კატალოგით;
- ელექტრონული კატალოგით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე და სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა დებულება, რომელშიც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის წესები.

დაწესებულებას არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევები არ ჰქონია. შემოწმდა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. აგრეთვე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში შემოწმდა პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. სტუდენტის სტატუსები კანონმდებლობით დადგენილი წესით იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მინიჭებული/შეჩერებული/შეწყვეტილი, ხოლო სტუდენტთა რაოდენობა კონკრეტულ პროგრამებზე შეესაბამებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“ პროფესიული სტუდენტთა დებულება;
- შინაგანაწესით;
- არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებითა და წესით;
- „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ფაზისი“ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის (ISO 9001:2015) დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის ბრძანებასა და შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ;
- ემისის ბაზა;
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა დებულებაში გაწერილია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს შემდეგი მექანიზმების გამოყენებას:

1. ასრულებინებს პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

2. სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ამავე კოლეჯში, იმავე მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლას შიდა მობილობის წესით;

3. სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს სხვა კოლეჯში, იმავე მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლას გარე მობილობის წესით.

დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლება, რისთვის გაფორმებულია მემორანდუმები შემდეგ კოლეჯებთან:

- სსიპ კოლეჯი „იბერია“;
- ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“;
- სსიპ კოლეჯი „ბლექსი“;
- სსიპ კოლეჯი „მერმისი“;
- სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“;
- სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიულ სტუდენტთა დებულებით;
- მემორანდუმებით;
- „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ფაზისი“ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის (ISO 9001:2015) დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის ბრძანებასა და შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განსაზღვრულია ორ ეტაპად - პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში და პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის განხორციელების შეფასება წარმოებს პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვით. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს შემდეგი კითხვარების ანალიზს:

1. კითხვარი პროფესიული მასწავლებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ;
2. კოლეჯის მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტის თვითშეფასების ანკეტა-კითხვარი;
4. პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი;
5. პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული მასწავლებლის შეფასების კითხვარი.

სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგთან.

კოლეჯის ხარისხის მენეჯერის მიერ ექსპერტთათვის წარდგენილ იქნა 6 თვის მანძილზე გაწეული საქმიანობის შეფასების ანგარიში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- ანგარიშებით;
- ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება ფლობს ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის N54-ში არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთს 14458.00 კვ.მ-ით, სადაც შენობა-ნაგებობის N1, N2 საერთო ფართი შეადგენს 2559.35 კვ.მ-ს. კოლეჯს ასევე მოსარგებლის არსებობის ვადით გადაეცა ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოჯიხევში შენობა-ნაგებობა N5, N6 და მათზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 125159.00 კვ.მ-ით, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქუჩა N54	2559.35
2	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი	125159.00

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით;
- ტექნიკური პასპორტით;
- სასწავლო დაწესებულების პასპორტით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროგრამების განხორციელებისთვის გააჩნია ყველა საჭირო რესურსი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის.

- **„ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება“** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის ქ. N54-ში, თეორიული სწავლებისათვის (A გარემო) გათვალისწინებული აქვს ერთი საერთო სივრცე - 36.4 კვ. მ ფართი. თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ფართი შეადგენს 2 კვ.მ, ასევე კოლეჯს გააჩნია პორტალური ამწის სიმულატორი. პრაქტიკული შედეგების დადასტურება მოხდება როგორც კოლეჯში, ასევე პრაქტიკის ბაზებზე, მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით. პრაქტიკის ობიექტები სრულადაა აღჭურვილი იმ მატერიალური რესურსით, რომელიც პროგრამითაა გათვალისწინებული მოდულებისთვის, რომელთა სწავლის შედეგები მიიღწევა ობიექტზე. დაწესებულების B სასწავლო გარემოში არის 25 სამუშაო ადგილი 25 პროფესიულ სტუდენტზე. „ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში, შესაბამისად, 30 პროფესიულ სტუდენტს ორ ცვლაში.

  ყოველივე ამის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს. ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს რესურსი, რომ პროგრამაზე ადგილების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 30 პროფესიული სტუდენტით.

- **„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას A და C გარემოსთვის გათვალისწინებული აქვს ერთი საერთო სივრცე - თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის - 49,2 კვ.მ ფართი. თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ფართი შეადგენს 2 კვ.მ. პრაქტიკული შედეგების დადასტურება მოხდება როგორც კოლეჯში, ასევე პრაქტიკის ბაზაზე, მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით. პრაქტიკის ობიექტები სრულადაა აღჭურვილი იმ მატერიალური რესურსით, რომელიც პროგრამითაა გათვალისწინებული მოდულებისთვის, რომელთა სწავლის შედეგები მიიღწევა ობიექტზე. დაწესებულებაში B სასწავლო გარემოში არის 25 სამუშაო ადგილი 25 პროფესიულ სტუდენტზე. A სასწავლო გარემოში განთავსებულია 15 საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტებისთვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა და მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო ადგილი კომპიუტერით. „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში, შესაბამისად, 30 პროფესიულ სტუდენტს ორ ცვლაში. დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების საათების 51.7% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მოდულური და დუალური ფორმით სწავლებისთვის შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს. ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს რესურსი, რომ პროგრამაზე ადგილების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 30 პროფესიული სტუდენტით.

- **„სამკერვალო წარმოება“** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს გამოყოფილი A/C გარემო, ერთი საერთო სივრცე სამკერვალო-საამქრო თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის - 123,0 კვ.მ ფართი, რომელშიც განთავსებულია და მოწყობილია 20 სპეციალური პრაქტიკული სამუშაო ადგილი. თითოეული სპეციალური სამუშაო ადგილი განკუთვნილია 1 პროფესიული სტუდენტისათვის, თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ფართი შეადგენს 5 კვ.მ. დაწესებულების B სასწავლო გარემოში არის 25 სამუშაო ადგილი 25 პროფესიულ სტუდენტზე. „სამკერვალო წარმოება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში, შესაბამისად, 40 პროფესიულ სტუდენტს ორ ცვლაში.

  ყოველივე ამის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მოდულური ფორმით სწავლებისთვის შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს. ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს რესურსი, რომ პროგრამაზე ადგილების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 40 პროფესიული სტუდენტით.

- **„სარესტორნო მომსახურება“** - საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს გამოყოფილი A/C გარემო, ფართი თეორიული სწავლებისათვის - 34,2 კვ.მ და 26,2 კვ.მ, რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით (10 სამუშაო მაგიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის, დაფით, პროექტორით, მასწავლებლის სამუშაო ადგილითა და კომპიუტერით); C გარემო - სასტუმროს ნომრის სიმულაციური ოთახი - ფართი 40,2 კვ.მ: რეცეფშენი - 27,3 კვ.მ; სასტუმრო მართვის პროგრამა "ოპერა" და სარესტორნო მომსახურეობის პროგრამა ,,სუფრა+" მონიტორი. პროგრამა ითვალისწინებს პირველადი გადაუდებელი დახმარების მოდულის სწავლებისათვის სამედიცინო ოთახს და სასტუმროს სახელოსნოს (საერთო დარგობრივი მოდული „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“). დაწესებულებაში B სასწავლო გარემოში არის 25 სამუშაო ადგილი 25 პროფესიულ სტუდენტზე.

„სარესტორნო მომსახურება“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას ქ. ფოთში, კონსტიტუციის N54-ში აქვს გამოყოფილი A/C გარემო ორ მიღებაზე სწავლების გათვალისწინებით, პროგრამის რესურსი შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს. ამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გარკვეული შედეგები მიიღწევა სასტუმროში „ვილარეტა“, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად, სასტუმრო „ვილარეტა“ მზადაა მიიღოს მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტი. მემორანდუმი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ – 10 მოდულის შედეგების მიღწევას სასტუმროში „ვილარეტა“.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სარესტორნო მომსახურება“ გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 10 პროფესიულ სტუდენტს ერთ მიღებაზე, შესაბამისად 20 პროფესიულ სტუდენტს ორ მიღებაზე. ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს რესურსი, რომ პროგრამაზე ადგილების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 20 პროფესიული სტუდენტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინვენტარის შეძენის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. აღნიშნული დასტურდება გადახდის ყოველთვიური ქვითრებით.

სველი წერტილები არსებობს ქალებისთვის და მამაკაცებისთვის, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ასევე, კოლეჯის სანიტარული კვანძები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგადასახადო ანგარიშფაქტურებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს ბიბლიოთეკაში გაწევრიანების პირობებს, ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანისა და დაბრუნების წესებსა და ვადებს, მკითხველთა უფლებებსა და ვალდებულებებს, ბიბლიოთეკაში ქცევის ნორმებს და ჩამოსაწერი საბიბლიოთეკო დოკუმენტების გამოვლენისა და შერჩევის კრიტერიუმებს, წიგნებისა და გამოცემების ჩამოწერის პროცედურებს. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. მასში ასევე განთავსებულია ბიბლიოთეკარისა და პროფესიული სტუდენტებისთვის კომპიუტერები და კომბაინი. ბიბლიოთეკის გვერდით განთავსებულია კომპიუტერებით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ სამკითხველო დარბაზად.

ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული ფონდი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების („ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება“, „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „სამკერვალო წარმოება“, სარესტორნო მომსახურება“) სასწავლო კურსების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან, შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები.

ბიბლიოთეკარის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით;
- წიგნების ფლობის დოკუმენტებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. 51 კომპიუტერი გამოიყენება პერსონალის და 330 პროფესიული სტუდენტების მიერ. დაწესებულება ასევე ფლობს 21 პრინტერს.

დაწესებულება უზრუნველყოფილია ინტერნეტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციის აღრიცხვა. დოკუმენტბრუნვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N951/17.08.2012 წლის ბრძანების შესაბამისად ელექტრონული სისტემა e-flow-ს მეშვეობით. საქმისწარმოების ერთიანი წესი არეგულირებს დოკუმენტბრუნვის, მათი შექმნის, ხელმოწერის კომპეტენციის, შესრულების კონტროლის, აღრიცხვის და კლასიფიკაციის წესებს.

დაწესებულებაში მიმდინარეობს ბრძანებების, შემოსული და გასული წერილებისა და განცხადებების რეგისტრაცია და აღრიცხვა. ბრძანებები შინაარსის მიხედვით იყოფა ხუთ ჯგუფად:

- საორგანიზაციო ბრძანებები - (რიგითი ნომერი); 01-01
- კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შესახებ - (რიგითი ნომერი); 02-01
- საკადრო ბრძანებები (დანიშვნა, გათავისუფლება, გადაადგილება) – (რიგითი ნომერი); 03-01
- კოლეჯის პერსონალის შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე გადაყვანა, მადლობა/ საყვედური - (რიგითი ნომერი); 04-01
- კოლეჯის პერსონალის მივლინებები - (რიგითი ნომერი); 05-01.

აღრიცხვის ჟურნალები დანომრილი, ბეჭედდასმული და აკინძულია.

კოლეჯი აწარმოებს რეესტრს (www.evet.emis.ge), სადაც დაცულია ინფორმაციის შეტანის ვადები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების ერთიანი წესით;
- ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალებით;
- შემოსული განცხადებების რეგისტრაციის ჟურნალით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შემოსული წერილის რეგისტრაციის ჟურნალით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების სისტემა. შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმი და გაწერილია უსაფრთხოების პროცედურები.

თითოეულ სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და მანიშნებელი ნიშნები. ვიზუალური გადამოწმებით დადგინდა, რომ ცეცხლმაქრები დამუხტულია და ვადიანია.

დაწესებულებაში ხარისხის მენეჯმენტის სისტემიდან (პირველადი სამედიცინო დახმარება SOP-001-01) გამომდინარე არსებობს სამედიცინო დახმარების მექანიზმი. კოლეჯს ჰყავს მედდა, რომელიც ვალდებულია აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დამხრება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიულ მასწავლებლებს, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალს.

ქალაქ ფოთში, კოლეჯის მეორე სართულზე მდებარეობს მედდის სამუშაო ოთახი. სამედიცინო კაბინეტში არსებობს პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი მედიკამენტები. ISO სტანდარტის შესაბამისად, მედდა სისტემატურად აკონტროლებს პირველადი დახმარების ყუთს, რათა ის სრულად იყოს დაკომპლექტებული საჭირო მედიკამენტებითა და აღჭურვილობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტის (OHSAS 18001:2007) და ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნები, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია. უსაფრთხოების მენეჯერს ევალება კოლეჯში წესრიგის უზრუნველყოფა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უსაფრთხოების ინსტრუქციით;
- პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკით;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. შენობის ფასადის მხრიდან დამონტაჟებულია პანდუსი. შშმ პირებს, პანდუსისა და ლიფტის საშუალებით, ექნებათ წვდომა ადმინისტრაციის ოთახებთან, ბიბლიოთეკასთან და აუდიტორიებთან. ასევე ადაპტირებულია სველი წერტილები, რომლებიც აღჭურვილია სპეციალური სახელურებით. დამატებით ასევე აღსანიშნავია, რომ სსსმ პირთათვის განკუთვნილი სველი წერტილები აღჭურვილია ხმოვანი სიგნალით, რისი საშუალებითაც პირი, საჭიროების შემთხვევაში, ითხოვს დახმარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, რადგან მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდზე განთავსებულია სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი). ასევე, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები, მოქმედი კატალოგი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და 2019 წლის განვითარების სამოქმედო გეგმის (საანგარიშო პერიოდი 6 თვე) შესრულების ანალიზი.

ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების შესაძლებლობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ გვერდით www.phazisi.edu.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა (2018-2023) და 2019 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური რესურსების გაუმჯობესების მექანიზმებს და გამომდინარეობს მისიიდან.

სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიმართულებები და წლების მიხედვით - ამოცანები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და რისკები. სამოქმედო გეგმით გაწერილია ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები, სხვა ჩართული მხარეები, რესურსები და ინდიკატორები. სამოქმედო გეგმაში, სხვადასხვა აქტივობებთან ერთად, გაწერილია აქტივობა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება საშემოდგომო მიღებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული გეგმით (2018-2023);
- სამოქმედო გეგმით (2019).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მიხედვით შემუშავებული აქვს თანმდებობრივი ინსტრუქცია როგორც პერსონალისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. თანამდებობრივი ინსტრუქცია მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და დეტალურ ინფორმაციას მოვალეობების შესახებ.

შინაგანაწესით ირკვევა, რომ კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით დასაქმების მსურველთა შერჩევა და მათთან შრომითი ხელშეკრულების დადება შეიძლება განხორციელდეს, როგორც გასაუბრებით (პირდაპირი), ასევე დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ, კონკურსის გზით.

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- თანამდებობრივი ინსტრუქციით;
- პირადი საქმეებით;

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით დაწესებულებას 20 პროფესიულ სტუდენტზე ჰყავს პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა მოსაზრებაა, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პირადი საქმეებით;
- პერსონალთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ახალი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების („ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება“, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „სამკერვალო წარმოება“, „სარესტორნო მომსახურება“) განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს წინარე შრომითი ხელშეკრულება 25 პირთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პირადი საქმეებით;
- გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

	პროგრამის დასახელება	როფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

				სტუდენტებისა თვის					შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება (მოდულური)	III	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში/1041	46	61	ქართული ენა	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. N54	0	30
2	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (მოდულური და დუალური)	IV	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში/0413	69	99	ქართული ენა	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. N54	0	30
3	სამკერვალო წარმოება (მოდულური)	III	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში/0723	99	114	ქართული ენა	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. N54	0	40
4	სარესტორნო მომსახურება (მოდულური)	IV	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში/1013	98	128	ქართული ენა	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. N54	0	20

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში („ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება“, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „სამკერვალო წარმოება“, „სარესტორნო მომსახურება“) ცვლილების შეტანის შესახებ;
დანართი 3. შეთანხმების აქტი N2 (მხარეებს შორის 2019 წლის 4 აპრილს გაფორმებულ N15 ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე).

02.09.2019
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: